

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. XII ს.

დავით მეფემ შეკრიბა მრავალრიცხოვანი ლაშქარი და 12 აგვისტოს დიდგორის ველზე დაბანაკდა. აღმაშენებელი უშიშარი და ბრძოლაში გამოცდილი მეფე იყო, ამიტომ გონივრულად განალაგა მრავალრიცხოვანი ჯარი. მას ბრძოლაში წმინდა გიორგი ეხმარებოდა. წმინდანის შეწევნითა და საკუთარი სიმამაცით შეძლო მტრის დამარცხება. მთა, ველი და ღელეები გაივსო არაბი მეომრების ცხედრებით. საქართველოს სამეფო კი აივსო ოქრო-ვერცხლით, არაბული ცხენებით, ასირიელთა ჯორებით, კარვებითა, სხვადასხვა საბრძოლო იარაღებითა თუ სამზარეულო ჭურჭლით. ნადავლის აღსაწერად ფურცელი და მელანი არ გვეყოფა.

ხოლო როცა ცხადი გახდა, რომ ომში არაბთა მეფე ტყვედ ჩავარდა, სხვა გოლიათი მებრძოლეს ტყვედ ჩავარდნა სალაპარაკოც აღარ იყო.

მათე ურჭაველი, სომეხი ისტორიკოსი (XII ს. I მესამედი)

...როდესაც შეიტყო ამის შესახებ [მტრის შემოსევის შესახებ] ქართველთა მეფე დავითმა... წავიდა საბრძოლველად თურქთა ჯარის წინააღმდეგ 40.000 ძლიერი და მამაცი ვაჟკაცით და ომში ნაცადი მეომრით, ჰყავდა აგრეთვე სხვა ლაშქარიც. ხაფჩახთა (ყივჩახთა) მეფისაგან _ 5.000 მამაცი და რჩეული კაცი, ალანთა ტომისაგან _ 500 კაცი, ხოლო ფრანგი _ 100...”

... აგვისტოს თვის 13-ს, ღვთისმშობლის მარხვის შემდგომ ხუთშაბათს მოხდა სასტიკი ბრძოლა ორ მთას შორის. ლაშქართა საშინელ ყიჟინს მთები ბანს აძლევდნენ...”

... მაშინ ღვთის წყალობამ უწია ქართველთა ლაშქარს და ბრძოლათა შენივთებისას თურქთა მთელი ლაშქარი სირბილით უკუიქცა...”

... იმ დღეს მოხდა თურქთა ჯარების სასტიკი და საშინელი ხოცვა-ჟლეტა მათთა ხევეები და მდინარეები გვამებით აივსო და მთების ყოველი ქარაფნი დაფარა... რვა დღის [განმავლობაში] ხაფჩახთა (აქ _ ყივჩაღთა) და ქართველთა ჯარები ქალაქ ანის საზღვრებამდე სდევნიდნენ [მათ]...”

კანცლერი გოტიე, ფრანგი მემატიაწე (XIII ს. I მესამედი)

...ეს მეფე დავითი წმიდა ჯვარის ნიშნით აღჭურვილი, ოთხმოცი ათასი მიდიელი და ქრისტიანი მეომრით, მოაწყო რა რაზმები, ერთ ხეობაში დააღაგა, დადგა ორ მთათა შუა დაბურულ ტყეში... მყის ხეობის მეორე ნაწილში, ანუ ფრონტზე, ჯარისკაცთა ძლიერი ყიჟინით, ცხენთა და აბჯართა უკიდურესი ხმაურით, ურჯულოთა ზარდამცემი ბაირაღები ჩნდებიან, და ამავე დროს, სხვადასხვაგვარ საკრავთა ხმაურობით მთა და ბარი ბანს აძლევენ.

...ხოლო მეფე დავით ამდენ სიმხეცეს მოთმინებით განიცდის და თავისიანებს მამაცი სულით ამხნევეს და ანუგეშებს. უმტკიცებს, რომ ურჯულოთა გაამაყებული სიმრავლე, ძალითა და შეწევნითა წმინდა ჯვარისა, ნაკლები ჯარით და სწრაფად დაითრგუნება... ღვთის თითის ქნევით, ბოროტნი ქრისტეს მსახურთა და მიდიელთა მახვილის მსხვერპლად იქცევიან...”

...და გავიგეთ ამ ომის მნახველთაგან, რომ სამი დღის მანძილზე გაქცეულთა ოთხასი ათასი მოისრნენ მეფის მახვილითა... თვით ელლაზი, თავში დაჭრილი, დაჰკარგა რა თითქმის ყოველივე ღვთის ნებით, მცირეოდენი ლტოლვილით, უიარაღო და დამშეული, არაბთა მეფის წინამძღოლობით სახლში დაბრუნდა, ნახევრად მკვდარი... (ქართველებმა) წაართვეს მათ მდიდარი ნადავლი... როდესაც მუსლიმანები განადგურდნენ, ნაჯმ ად-დინი გაემართა დუბეისთან ერთად ოცი მხედრის მეთაურობით, და დაბრუნდა თავის ქვეყანაში. და ყველა, ვინც მასთან იყო, წავიდა, ხოლო თვითონ დაბრუნდა მაიაფარიკინში...

იბნ ალ-ასირი, არაბი ისტორიკოსი (XIII ს. I მესამედი)

... შეხვდნენ რა ერთმანეთს, ორივე არმია მოეწყო (გაემზადა), რათა შებრძოლებოდნენ...

... წინ გამოვიდა ყივჩაღთა 200 კაცი. მუსულმანებმა იფიქრეს, რომ ისინი აპირებდნენ დანებებოდნენ ამანს და ამიტომაც არ მიიღეს უსაფრთხოებისათვის საჭირო ზომები, შეერივნენ მათ (აირივნენ მათში) და (საპასუხოდ) ისრები მიიღეს (მათგან). მუსლიმანთა რიგები აირია და ამიტომ მათ, რომლებიც მოშორებით იდგნენ, ეგონათ რომ (დავმარცხდით და) გაქცევა (ლტოლვა) დაიწყო და (თავადაც) გაიქცნენ...

... ლაშქარი ერთმანეთის მიყოლებით (თავგზაბნეული) გარბოდა, და ძლიერი ჭყლეტვის გამო ერთმანეთს თელავდნენ, რის შედეგადაც ბევრი მათგანი დაიხოცა... ურწმუნოები მისდევდნენ მათ 10 ფარსახის (1 ფარსახი უდრის 6-7 კმ-ს) მანძილზე, ხოცავდნენ და ტყვედ იგდებდნენ მათ. უმრავლესობა მათგანი (მუსლიმანთა ჯარებისა) განადგურებულ იქნა და ტყვედ იქნა აყვანილი ოთხი ათასი კაცი...

იბნ ალ-აზრაკ ალ-ფარიკი, არაბი ისტორიკოსი (XII ს. შუა წლები)

...ხუთასმეთხუთმეტე (1121) წელს თბილისის მცხოვრებლებმა მოწვევა გაუგზავნეს ნაჯმ ად-დინ ილლაზს, რათა მათ გადაეცათ მისთვის თბილისი... ქართველთა მეფის მხრიდან მათი შევიწროება არ წყდებოდა. მაშინ ისინი შეთანხმდნენ მასზედ, რომ ყოველწლიურად გადაეხადათ მისთვის ათი ათასი დინარი და ყოფილიყო მათთან მეფის ნაცვალი (მოადგილე) მხოლოდ ათი მხედრით. ამ მდგომარეობაში რჩებოდნენ ისინი, რამოდენიმე ხანი. შემდეგ მათ გაუგზავნეს ნაჯმ ად-დინს მოწვევა (ჩამოსულიყო)...

...მეფე დავითი გამოემართა დასავლეთის მხრიდან, ხოლო მისი ძე დემეტრე (თავს) დაატყდა მათ მთის მალღობებიდან, როდესაც ისინი (მუსულმანები) მის (მთის) ძირთან იმყოფებოდნენ.

დაიხოცა აურაცხებული რაოდენობის მუსულმანი... მარცხი განიცადა და ტყვედ იქნა აყვანილი შეუჯამებელი ოდენობის მუსულმანი და არაბი...

ქემალ ად-დინი, არაბი ისტორიკოსი (1192-1262 წწ.)

... სელჯუკთა მეფე თოდრულმა ქართველების და მათი მეფის დავითის წინააღმდეგ დახმარება სთხოვა ილ-ლაზი ორთოკის ძეს, რომელიც გაემართა მისკენ მრავალრიცხოვანი არმიით; მას თან ახლდა დუბეის სადაყას ძე...

... მუსულმანები, რომლებმაც თავდაპირველად დაამარცხეს ისინი, მისდევდნენ მტერს ბილიკით, და მოექცნენ მათ ზურგში მთის გადასასვლელზე... ქართველები გზაზე შემოუბრუნდნენ მათ

და დაამარცხეს მუსულმანები...

... მისდევდნენ რა, ქართველები ხოცავდნენ და ტყვედ იგდებდნენ მათ. დუბეისი, რომლისგანაც წართმეულის ღირებულება შეადგენდა 300.000 დინარს, ნაჯმ ად-დინ ილ-ლაზისთან ერთად გაემართა მარდინში უვნებელად...

სიბთ იბნ ალ-ჯაუზი. (XIII ს. I ნახევარი).

„... წელი ხუთას მეთექვსმეტე (1122-1123) მაშინ მოხდა დიდი ომი ილ-ლაზსა და ურწმუნოებს შორის თბილისის გამო. მოთხრობა მისი მიზეზის შესახებ. თბილისის მცხოვრებთა ერთ-ერთი გვარი, რომელსაც უწოდებდნენ ბანუ-ჯაფარს, ფლობდა (ქალაქს) ორას წელიწადს.

შემდეგ ამ გვარის მოხუცები გადაშენდნენ და დარჩნენ (მხოლოდ) ყმაწვილები, რომელთაგან თითოეული (მართავდა თბილისს) ერთ თვეს. ასე დაჰყვეს მათ ორმოც წელს. დავითმა, მეფემ აფხაზთა და ქართველთა, ძლიერ შეავიწროვა ისინი. მათ გაგზავნეს თულრულ იბნ მუჰამად შაჰთან, არანის ბატონთან (კაცი). მან გამოგზავნა თავისი შიჰნა, მან კი სარგებლობა არ მოიტანა... მათ მისწერეს ნაჯმ ად-დინსა და მხარეთა მფლობელებს: შამს ად-დაულა თულანს, არზანისა და ბადლისის ბატონს, სულთან თულრილსა და სხვა...

...ჩამოვიდა დავით მეფე მთიდან დიდი ლაშქრით, დაამარცხა ისინი და ხელთ იგდო მათი ქონება...

... ნაჯმ ად-დინი და დუბაისი გაიქცნენ...